ეკა დარბაიძე •

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებსა და რეგიონალურ აქტორებს შორის თანამშრომლობის პლატფორმა და საქართველო

აბსტრაქტი

სამხრეთ კავკასია უმნიშვნელოვანესი გეოპოლიტიკური მდებარეობისა და ეკონომიკური ინტერესების გამო, უძველესი დროიდან სხვადასხვა სახელმწიფოებისა თუ იმპერიების ინტერესთა გადაკვეთის ადგილს წარმოადგენდა. ამ მეტოქეობას ხელი შეუწყო რეგიონის გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ და ენერგორესურსების მნიშვნელოვანმა მარაგმა, რომელიც რეგიონული ძალებისათვის განსაკუთრებით ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ სივრცედ იქცა ცივი ომის შემდგომ პერიოდში. საუკუნეთა განმავლობაში სამხრეთ კავკასიის რეგიონთან მიმართებაში მუდამ იცვლებოდა საერთაშორისო ურთიერთობის ფორმები, თუმცა, თითქმის უცვლელი რჩებოდა კავკასიელ ხალხთა მისწრაფებები, ისევე როგორც რეგიონალური ძალების ინტერესები.

საბჭოთა კავშირის ნგრევისა და დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, დაუსრულებელი ეთნოპოლიტიკური კონფლიქტებით ცნობილი სამხრეთ კავკასიის ქვეყნები, ბუნებრივია აქტიურად უნდა იყვნენ დაინტერესებულნი რეგიონის სტაბილურობით, რაც მათ პოლიტიკურ დღის წესრიგში კონსტრუქციული და სამშვიდობო პოლიტიკის ინსტრუმენტების აქტიურ გამოყენებას გულისხმობს. შესაბამისად კვლავ აქტუალურია მათი მხრიდან სამშვიდობო პოლიტიკის ფორმირებაზე ზრუნვა და კავკასიის რეგიონული სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით შემოთავაზებული სხვადასხვა სა-

---

• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასოცირებული მკვლევარი

ხის თანამშრომლობის ინიციატივები. წლების განმავლობაში წამოყენებული თანამშრომლობისა და სამშვიდობო პოლიტიკური ინიციატივების მრავალფეროვნების მიუხედავად, სამწუხაროდ, ისინი პოლიტიკური განცხადებების ფორმატს არ გასცილებიან და საქმე მათ განხორციელებამდე არასოდეს მისულა, რადგან მანამდე არსებულმა თანამშრომლობის ვერცერთმა ინიციატივამ ვერ შეძლო მოეცვა რეგიონის ყველა წევრი.

რეგიონული თანამშრომლობის ამჟამინდელი პლატფორმა უკავშირდება თურქეთის პრეზიდენტის, რეჯეფ ერდოღანის სახელს, რომელმაც აღნიშნული ინიციატივის შესახებ აზერბაიჯანში ვიზიტის დროს გააჟღერა. რეგიონული თანამშრომლობის ე.წ. 3+3 ფორმატის პლატფორმა მიზნად ისახავს სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყნის (სომხეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს) და სამი „დიდი მეზობლის“ - რუსეთის, თურქეთის და ირანის თანამშრომლობას. კავკასიის სტაბილურობის პაქტის 3+3 პოლიტიკურ პლატფორმის ინიციატივას დადებითი რეზონანსი მოჰყვა აზერბაიჯანის, ირანისა და სომხეთის ხელისუფლების მხრიდან. მათი განცხადებით, თანამშრომლობის აღნიშნული პლატფორმა ხელს შეუწყობს მასში ჩართულ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაძლიერებას უსაფრთხოების, ეკონომიკურ და სატრანსპორტო სფეროებში.

სტატიის მიზანია შესწავლილი და დადგენილი იქნას რეგიონული სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით შექმნილი თანამშრომლობის ახალი პლატფორმა და მისი განხორციელების სამომავლო პერსპექტივები; რას მოუტანს შემოთავაზებული პროექტი საქართველოს, რა ტიპის „ბენეფიტებთან“, თუ საფრთხეებთან არის დაკავშირებული აღნიშნულ თანამშრომლობის პლატფორმაში მისი სავარაუდო წევრობა. ასევე საინტერესო იქნება აღნიშნულ პლატფორმასთან მიმართებაში რეგიონული ძალების ინტერესებისა და მოლოდინების იდენტიფიცირება. რეგიონული მოთამაშეების, - რუსეთის, თურქეთისა და ირანის ამბიციების ნაწილობრივი დამ-

თხვევის გათვალისწინებით სამხრეთ კავკასიასთან მიმართებაში, 3+3 რეგიონული თანამშრომლობის ფორმატი ერთის მხრივ წარმოადგენს ერთგვარ ხელშემწყობ მექანიზმს მათთვის, რათა გააძლიერონ თავიანთი გავლენა სამხრეთ კავკასიის რეგიონში და მეორეს მხრივ აღნიშნული თანამშრომლობით მათ სურთ „ახალი რეალობის“ კონსოლიდაცია, რომელიც 2008 წელს საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციისა და 2020 წელს ყარაბაღის მეორე ომის შემდეგ ძალაუფლებისა და ბალანსის მნიშვნელოვანი ცვლილების შემდეგ ჩამოყალიბდა რეგიონში.

საკვანძო სიტყვები: 3+3 თანამშრომლობის პლატფორმა, კავკასიის სტაბილურობის პაქტი, სამხრეთ კავკასია, ეროვნული ინტერესები, საქართველოს ოკუპირებული რეგიონები.

შესავალი

კავკასია გეოგრაფიულად, ეთნიკურად, ენობრივად, კონფესიურად და კულტურულად მრავალფეროვან რეგიონს წარმოადგენს, რაც რეგიონში კონფლიქტებისა და სხვადასხვა სახის დაპირისპირებების საფუძველს ქმნის, რომელსაც როგორც პოლიტიკურ ინსტრუმენტს, დღემდე წარმატებულად იყენებს რუსეთი კავკასიელი ხალხების წინააღმდეგ. აღნიშნული რეგიონის უაღრესად რთულ ბუნებას, კიდევ უფრო მეტად ართულებს ახლო აღმოსავლეთს, ევროპასა და რუსეთს შორის მისი გეოგრაფიული მდებარეობაც, რაც მსოფლიოს ამ დიდ ენერგო მიმწოდებელ და მომხმარებელ ბაზრებს შორის ენერგონაკადებზე კონტროლის მოპოვებისათვის ბრძოლით არის გამოწვეული. სამხრეთ კავკასია, რომელიც ევრაზიის მთავარი ენერგეტიკული და სატრანზიტო გზების გზაჯვარედინზე მდებარეობს, კვლავაც განაგრძობს სასიცოცხლო როლის შესრულებას მსოფლიო უსაფრთხოების სისტემაში. ცივი ომის დასრულების შემდეგ სამხრეთ კავკასია საკვანძო რეგიონად იქცა რეგიონულ და

გლობალურ ძალებს შორის არსებულ გეოპოლიტიკურ კონკურენციაში (Balla, 2013).

კავკასიაში რეგიონული უსაფრთხოებისათვის თანამშრომლობის ფორმატის შექმნის მცდელობას საკმაოდ მდიდარი ისტორია გააჩნია. ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში ამ მიმართულებით თავი იჩინა თანამშრომლობის სხვადასხვა ხასიათისა და კონფიგურაციის რამდენიმე საინტერესო ინიციატივამ. კავკასიელ ხალხთა ერთობის იდეოლოგიურ-პოლიტიკური კონცეფცია უკავშირდება XI საუკუნის პერიოდის ქართველი ისტორიკოსის, ლეონტი მროველის სახელს, რომელმაც კავკასიელ ხალხთა ნათესაობის თეორია შემოგვთავაზა. აღნიშნული კონცეფციის მიხედვით, კავკასიაში მცხოვრები ერები წარმოადგენდნენ ნათესაურად დაკავშირებულ ოჯახს, რომელსაც საერთო იდენტობა და ინტერესები ამოძრავებდათ (ყაუხჩიშვილი, 1955).

მოგვიანებით XVIII საუკუნეში, ერეკლე მეფის მმართველობის პერიოდში კვლავ იჩინა თავი სამხრეთ კავკასიის გაერთიანების იდეამ, თუმცა საქართველოს მომავალი შემდგომ ისე წარიმართა, რომ ირანისა და ოსმალეთის დამარცხების შემდეგ, რუსეთმა მოახდინა საქართველოს ანექსია-ოკუპაცია და საბოლოოდ რუსეთის გუბერნიად გამოაცხადა, შესაბამისად ერთიანი კავკასიის იდეაც წარსულს ჩაბარდა (ტუხაშვილი, 1972).

საბჭოთა კავშირის ნგრევისა და დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მიერ გააჟღერებული იქნა „კავკასიური სახლის“ შექმნის იდეა, რომელსაც აქტიურად მხარს უჭერდა იჩქერიის პირველი პრეზიდენტი ჯოხარ დუდაევი. ანტირუსული კავკასიური კოალიციის შექმნა კავკასიელ ლიდერებს ერთადერთ გამოსავლად ესახებოდათ კრემლის ინტერესების დასაბალანსებლად. თუმცა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობისა და მისი გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვალების შემდეგ, აღნიშნული იდეა ბუნებრივია გა-

ნუხორციელებელი დარჩა (ზვიად გამსახურდია პოლიტიკა, მეცნიერება, ლიტერატურა, 2020).

კავკასიის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის ინიციატივას, შესაძლოა ასევე მივაკუთნოთ თურქეთის პრეზიდენტის სულეიმან დემირელის „სტაბილურობის პაქტი კავკასიისათვის“ (2000 წლის 16 იანვარი), რეჯეპ ტაიპ ერდოღანის „სტაბილურობისა და თანამშრომლობის პლატფორმა“(2008 წლის 13 აგვისტო) და ასევე, საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის „ერთიანი კავკასიის“ იდეა (Kaleji, 2021). ოფიციალური ანკარას მიერ შემოთავაზებული თანამშრომლობის პლატფორმის შექმნის იდეა, რომელიც პირველად რუსეთს-საქართველოს 2008 წლის ომის შემდეგ გაჟღერდა, ოფიციალური მოსკოვისათვის „უცნაური'' და დამაბნეველიც კი აღმოჩნდა, რომელმაც მასში ერთგვარი ფარული, თურქული იმპერიალისტური ამბიციების მისწრაფებების საფრთხე დაინახა. თუმცა, როგორც უკვე ითქვა, აქამდე არსებული თანამშრომლობის ინიციატივების მრავალფეროვნების მიუხედავად, ისინი პოლიტიკური განცხადებების ფორმატს არ გასცილებიან და, შესაბამისად, საქმე მათ განხორციელებამდე არასოდეს დამდგარა, ვინაიდან ვერცერთმა პლატფორმამ ვერ შეძლო ჩაერთო რეგიონის ყველა აქტორი.

ექვსი ქვეყნის რეგიონული თანამშრომლობის პლატფორმა, რომელიც 2020 წლის შემოდგომაზე გაჟღერდა, ამჯერად ოფიციალური კრემლის მხრიდან ინტენსიური მხარდაჭერისა და ჩართულობის ობიექტი აღმოჩნდა. 3+3 პოლიტიკური პლატფორმა ითვალისწინებს ექვს სახელმწიფოს შორის თანამშრომლობას, სადაც წარმოდგენილი იქნებოდა სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოები (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) და 3 დიდი სახელმწიფო (რუსეთი, თურქეთი და ირანი). თანამშრომლობის ახალი ინიციატივა შეიძლება ჩაითვალოს თურქეთის პრეზიდენტის რეჯეფ თაიფ ერდოღანის 2008 წელს გაკეთებული შეთავაზების ერთგვარ გაგრძელე-

ბად, თუმცა ამჯერად, აღნიშნულ პლატფორმაში დამატებით პარ-ტნიორად ირანიც გვევლინება (Altay I, 2020).

2021 წლის 6 ოქტომბერს რუსეთის საგარეო საქმეთა მინის-ტრმა, სერგეი ლავროვმა გამართულ პრესკონფერენციაზე თავის ირანელ კოლეგასთან, ჰოსეინ ამირ აბდოლაჰიანთან ერთად აღნიშ-ნა, რომ ირანულმა მხარემ თანამშრომლობის ახალი ინიციატივა პო-ზიტიურად შეაფასა და რომ პლატფორმაში ჩართულობის მზაობა მოდიოდა ასევე აზერბაიჯანისა და სომხეთის მხრიდან (Russia suggests 3+3 format with Turkey, Iran, Azerbaijan, Armenia, Georgia in Caucasus, 2021). შესაბამისად, რუსეთის, თურქეთისა და ირანის წარ-მომადგენლების ოფიციალური განცხადებების თანახმად, ახალი ინიციატივა რეგიონში გრძელვადიანი მშვიდობის შენარჩუნებას, ეკონომიკური, სატრანსპორტო და ინფრასტრუქტურული პროექ-ტების განხორციელებას შეუწყობდა ხელს. დიდი აქცენტები გაკეთ-დებოდა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების პოტენ-ციალზე, რომელსაც ფორმატის ინიციატორები განსაკუთრებულ უპირატესობას ანიჭებენ (Zarif: Iran seeking to form six-party union in the caucasus region, 2021).

2020 წელს ჩამოყალიბებული 3+3 თანამშრომლობის პლატ-ფორმა იმის ნათელი მაგალითია, თუ როგორ იცვლება XXI საუკუნ-ის მსოფლიო წესრიგი, თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთო-ბებში გაბატონებული ლიბერალური სისტემის ნაცვლად, კვლავაც ბრუნდება გავლენის სფეროებისა და ძალთა ბალანსის იდეები. აღ-ნიშნული პლატფორმის მხარდამჭერები ამტკიცებენ, რომ სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყანა საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი გე-ოგრაფიულად, ისტორიულად და კულტურულად დაკავშირებუ-ლია სამ დიდ ძალასთან, როგორიცაა თურქეთი, რუსეთი და ირანი. მიუხედავად იმისა, რომ ეს არგუმენტი ერთი შეხედვით დამაჯე-რებლად შეიძლება ჟღერდეს, მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტი, ხშირად მხედველობის მიღმა რჩება. რუსული, ირანული და თურ-

ქეთის გავლენა და ჩართულობა სამხრეთ კავკასიაში საუკუნეების მანძილზე იმპერიული ძალაუფლების ეგიდით იყო ინსპირირებული.

თანამშრომლობის ახალი პლატფორმა და ქართული მხარის პოზიცია

2021 წლის 8 ოქტომბერს, 3+3 თანამშრომლობის ფორმატში საქართველოს შესაძლო მონაწილეობის შესახებ, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ჟურნალისტების მიერ დასმულ შეკითხვაზე აღნიშნა, რომ ოკუპანტ ქვეყანასთან ერთად, ერთ ფორმატში მონაწილეობა ძალიან რთული იქნებოდა საქართველოსათვის, თუმცა „ჩვენ რაღაც ფორმით ამ დიდ გეოპოლიტიკურ პროექტებსა და ურთიერთობებში მაინც უნდა ვიყოთ, რა თქმა უნდა, არა სახელმწიფო ინტერესების და ოკუპანტთან რაღაც დათმობის ხარჯზე. რა თქმა უნდა, წითელი ხაზი არის ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა. აუცილებელია, ჩვენ არ ჩამოვრჩეთ იმ პროცესებს, რაც რეგიონში ვითარდება და აუცილებლად ვიყოთ ყველა ახალ, თუნდაც, ინფრასტრუქტურულ პროექტებში, რომლებიც შეიძლება, აცდეს საქართველოს და ამით საქართველომ თავისი როლი და ფუნქცია დაკარგოს" (1tv, 2021). აღნიშნულ განცხადებას საქართველოში საგარეო საქმეთა მინისტრის უმწვავესი კრიტიკა მოჰყვა საზოგადოების მხრიდან, რომლის შემდგომ, საგარეო უწყების პრესსამსახურმა გააკეთა ოფიციალური განცხადება, სადაც ხაზგასმით აღინიშნა, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება არასწორი ინტერპრეტაციით იქნა გავრცელებული და რომ საქართველო არ განიხილავდა 3+3 ფორმატში მონაწილეობას ოკუპანტ სახელმწიფოსთან ერთად (Georgia won’t participate in so-called 3+3 regional platform in Moscow, 2021).

არანაკლები მწვავე კრიტიკა მოჰყვა ე.წ. კავკასიური თანამშრომლობის პლატფორმის ინიციატივის შესახებ საქართველოს

პრეზიდენტის მიერ გაკეთებულ განცხადებას, რომელიც სწორედ აღნიშნულ ფორმატში გამართულ პირველ შეხვედრას დაემთხვა მოსკოვში. 2020 წლის 11 დეკემბერს, სალომე ზურაბიშვილმა საქართველოს მეათე მოწვევის პარლამენტის ტრიბუნიდან აღნიშნა, რომ „კავკასიაში ჩვენი მეზობლების და ახალი მოცემულობის გათვალისწინებით“, „საჭიროა საქართველომ დაიბრუნოს ისტორიული როლი“ და „შესაძლებელია, ვიფიქროთ „კავკასიური მშვიდობის პლატფორმის იდეაზე“ (1tv, 11.12.2021). საქართველოს სახელმწიფო მეთაურის ამ განცხადებას როგორც ქართული საზოგადოების, ასევე საერთაშორისო პარტნიორებისა და საზოგადოების მწვავე რეაქცია და კრიტიკული შეფასებები მოჰყვა. აშშ-ის ყოფილმა ელჩმა საქართველოში, იან კელმა მწვავე კრიტიკით უპასუხა პრეზიდენტის ამ განცხადებას და აღნიშნა, რომ ეს „მშვიდობის აღდგენა“ რუსეთის ჯარების მიერ ხორციელდება და რატომ უნდა საქართველოს პრეზიდენტს ამ კავკასიური პლატფორმის წახალისება, როდესაც ეს ნიშნავს ხმის მიცემას რუსეთისა და ირანისთვის - ჩაერიონ რეგიონის საქმეებში?" (Ian Kelly, 2021). იან კელის კომენტარმა და საქართველოს პრეზიდენტის განცხადებამ ევროპაში აშშ-ის სახმელეთო ჯარების ყოფილი მეთაურის, ბენ ჰოჯესის ყურადღებაც მიიპყრო, რასაც გენერალი ჰოჯესი საკუთარ ტვიტერზე შემდეგნაირად გამოეხმაურა: „განა საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს სუვერენიტეტს არ განასახიერებს? რატომ უნდა მიესალმოს საქართველო გეგმას, რომელიც რუს ოკუპანტებს აძლიერებს მისი ქვეყნის შიგნით და მის საზღვრებზე? რატომ უშვებს საქართველო რუსი "მშვიდობისმყოფელების" მიერ საქართველოს საჰაერო სივრცის გამოყენებას სომხეთის მიმართულებით, როდესაც რუსულ ჯარებს საქართველოს მიწა აქვთ ოკუპირებული?“ (Ben Hodges, 2021). სწორედ მსგავსი არაერთი მწვავე შინაარისის განცხადების შემდეგ, რომელიც საქართველოს საერთაშორისო პარტნიორების მიერ გაკეთდა, მოგვიანებით საქართველოს პრეზიდენტის განცხადება მისი ადმი-

ნისტრაციის მხრიდან ექსპერტების გაუგებრობად და არასწორ ინ-ტერპრეტაციად იქნა შეფასებული (საქართველო არ განიხილავს რუსეთის ფედერაციასთან ერთად 3+3 ფორმატში მონაწილოებას-საგარეო საქმეთა სამინისიტრო, 2021).

სწორედ მიმდინარე მოვლენების შემდეგ, 2021 წლის 10 დე-კემბერს, 3+3 თანამშრომლობის ახალი ფორმატის პირველი შეხვედ-რა მოსკოვში გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო რუსეთის, თურქეთის, ირანის, სომხეთისა და აზერბაიჯანის დელეგაციებმა, ხოლო საქართველომ აღნიშნულ ფორმატში მონაწილეობაზე ოფ-იციალურად უარი განაცხადა (Первое заседание формата "3+3" по Южному Кавказу пройдет в Москве 10 декабря, 2021).

მსგავს მოცემულობაში შემთხვევითი ნაკლებად შეიძლება ყო-ფილიყო ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილის თანაშემწის, ერიკა ოლსონის იმ დროინდელი სამხრეთ კავკასიური ტურნე და ამერიკის შეერთებული შტატების თავდაც-ვის მინისტრის - ლოიდ ოსტინის ვიზიტი საქართველოში (Remaks by Secretary of Defense Lloyd J. Austin III During a Joint Press Briefing With Minister Burchuladze of the Republic of Georgia, U. S Department Of Defense, 2022). ლოიდ ოსტინმა თავის ქართველ კოლეგასთან შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ „რუსეთი, რომელსაც ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტო-რის 20 პროცენტი, პატივს უნდა სცემდეს 2008 წლის ცეცხლის შეწ-ყვეტის შეთანხმებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, ვიდრე რაიმე ახალ პლატფორმაზე ისაუბრებდეს“ (I tv, 18.10.2021). საერთა-შორისო საზოგადოების მხრიდან გაკეთებულმა გზავნილებმა, კი-დევ უფრო თვალსაჩინო გახადა საქართველოს აღნიშნულ პლატ-ფორმაში მონაწილეობის დაუშვებლობა და მკაფიო და გამოკვეთი-ლი პოზიციის არსებობის აუცილებლობა.

ჩნდება კითხვა, თუ რა შეიძლება მოუტანოს საქართველოს ამ პლატფორმაში ჩართულობამ? საქართველოსათვის რუსეთის მიერ

შემოთავაზებული თანაშრომლობის პლატფორმა, ნებისმიერ შემთხვევაში, შეიძლება მიჩნეული იქნას, როგორც ერთგვარ საფრთხედ მანამ, სანამ რუსეთს აქვს ოკუპირებული საქართველოს ტერიტორიები. აღნიშნული თანამშრომლობის პლატფორმა ეჭვქვეშ აყენებს საქართველოს ისტორიულ არჩევანს, კერძოდ მის ევროპულ და ევროატლანტიკური ინტეგრაციის იდეას, რომელიც პირდაპირ არის გაცხადებული საქართველოს კონსტიტუციაში და დადასტურებულია ქართველი ხალხის მიერ. საქართველოს შესაძლო ჩართულობა რუსეთთან ამ ტიპის თანამშრომლობის პროცესებში, ჩაითვლება ერთგვარ „მოსკოვის ისტორიული პრივილეგიების“ დადასტურებად, ეს იქნება დე იურე ცვლილება საქართველოს საგარეო პოლიტიკაში და იმის აღიარება, რომ იგი ვეღარ იქნება დასავლური ინტერესებისა და ღირებულებების საფუძველი რეგიონში. შესაბამისად, არ იკვეთება საქართველოსათვის არანაირი სახის „ბენეფიტები“ თანამშრომლობის ახალ პროექტში ჩართულობის მიმართულებით, თუმცა ამავდროულად უფრო მკაფიო ხდება ის კონკრეტული საფრთხეები, რომლებმაც ჩვენი ქვეყნის შესაძლო ჩართულობის შემთხვევაში შესაძლოა თავი იჩინოს და გაცილებით მწვავე შედეგების მომტანიც კი აღმოჩნდეს. აღნიშნული თანამშრომლობის ფორმატში ჩართვის შემთხვევაში, ოფიციალურ მოსკოვს მიეცემა შანსი უფრო მეტად შეარყიოს და საფუძველი გამოაცალოს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, შესაბამისად ეს იქნება ერთგვარი მცდარი და არასწორი არჩევანი, ვინაიდან რუსეთი კვლავაც შეეცდება და გააგრძელებს საქართველოს ორი სეპარატისტული რეგიონის ე.წ. „სამხრეთ ოსეთისა“ და აფხაზეთის „დამოუკიდებლობის“ აღიარებას და არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ საქართველოს ამ ფორმატში ჩართულობის შემთხვევაში, 3+3 ფორმატი შესაძლოა მალევე გარდაიქმნას 3+3+2 ფორმატად. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ რუსეთმა გაზარდა თავისი ყოფნა მთიანი ყარაბაღის რეგიონში, მას ფაქტობრივად „მშვიდობის დამცველის“ სტატუსი მიანიჭა.

ნებისმიერ ასეთ ფორმატში რუსეთი კვლავაც შეეცდება საქართველოს ოკუპაციის დაკანონებას და არ არის გამორიცხული რომ საქართველოსთვის არახელსაყრელი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების ვალდებულება მოახვიოს თავს, მათ შორის ოკუპირებულ აფხაზეთის რკინიგზის თემა. გარდა ამისა, საქართველოს არანაირი საფუძველი არ გააჩნია, რომ მისთვის მნიშვნელოვანი იყოს 3+3 ფორმატში მონაწილეობა, რადგან სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, მან მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მსოფლიო ენერგოპოლიტიკურ რუკაზე, რაც მისი უნიკალური სატრანსპორტო - გეოგრაფიულ მდებარეობით არის გაპირობებული. საქართველოს სურს დარჩეს და მომავალში კვლავაც იყოს სამხრეთ კავკასიაში არსებული ინფრასტრუქტურული პროექტების შემადგენელი ნაწილი. შესაბამისად საქართველოს უახლესი ისტორია გვიჩვენებს, რომ მას რუსეთთან და ირანთან მოკავშირეობის გარეშეც თავისუფლად შეუძლია განახორციელოს მსგავსი პროექტები. ოფიციალური თბილისის განცხადებით, საქართველო ვერ ჩაერთვება 3+3 პოლიტიკურ პლატფორმაში, რადგან მას, ერთის მხრივ, რუსეთის ფედერაციასთან გააჩნია ოკუპაციასთან მიმართებით არსებული პრობლემები და მეორეს მხრივ, წარმოდგენილი თანამშრომლობის პლატფორმა ვერ პასუხობს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების ინტერესებს.

3+3 პლატფორმა და სომხეთ-აზერბაიჯანის ინტერესები

მისაღებია თუ არა რეგიონში გადაწყვეტილების მიღების ახალი სისტემა ოფიციალური ერევანისთვის? რამდენად შეძლებს ასეთ კონფიგურაციში თავის ეროვნული ინტერესების დაცვას მეზობელი სომხეთი? სომხეთის პრემიერ მინისტრმა ნიკოლ ფაშინიანმა განაცხადა, რომ სომხეთის მთავარობა დაინტერესებულია რეგიონული თანამშრომლობის ყველა შესაძლებლობით და გამოხატა მზაობა, რომ სომხეთს მონაწილეობა მიეღო აღნიშნულ პლატფორმაში. სომ-

ხური მხარის პოზიცია და დათქმა აღნიშნული რეგიონალური უსაფრთხოების თანამშრომლობის ფორმატთან მიმართებაში შემდეგია: „3+3 ფორმატში დღის წესრიგში არ უნდა იქნას განხილული ისეთი საკითხები, რომელთა განხილვა უკვე სხვა სახის ფორმატში მიმდინარეობს“, რაშიც ბუნებრივია, რომ ოფიციალური ერევანი პირველ რიგში მთიანი ყარაბაღის კონფლიქტს მოიაზრებს (3+3 or 3+2: New format for solving problems in south caucasus, 2021).

სომხეთში მიიჩნევენ, რომ 3+3 პლატფორმა ვერ იქნება რეალური პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობათა პლატფორმა, მიუხედავად იმისა, რომ სამმხრივი მოლაპარაკებების ფორმატი თურქეთის გარეშე ოფიციალური ერევნისთვის გაცილებით უფრო სასურველი აღმოჩნდებოდა (რუსეთი+ირანი), რომელშიც შუამავლის როლს მხოლოდ რუსეთი შეასრულებდა, თუმცა ვინაიდან აღნიშნულ პლატფორმაში თურქეთი და ირანიც შემოდიან, ეს უკანასკნელი კი მათი აზრით უფრო პასიური იქნება (Hachatryan, 2021). თურქეთი სომხეთისათვის კვლავაც ისტორიულად არასასურველი მეზობელია, მაშინ როდესაც აზერბაიჯანისთვის თურქეთი „დიდი ძმაა“. მთიანი ყარაბაღის მრავალწლიანი კონფლიქტის გამო სომხეთი წლების განმავლობაში თითქმის ყველა რეგიონულ პროექტს გამოეთიშა. შესაბამისად სომხეთში მიაჩნიათ, რომ ქვეყანამ აუცილებლად უნდა გამოიყენოს ახალი თანამშრომლობის ფანჯარა, რათა დაძლიოს რეგინული იზოლაცია და არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას მიჩნეული მათი მხრიდან აღნიშნული პლატფორმა, როგორც დამაბრკოლებელი ფაქტორი რეგიონული იზოლაციიდან გამოსვლის კუთხით. სომხეთის მხრიდან არ უნდა მოხდეს იმ ფაქტორის გათვალისწინება, რომ აღნიშნული თანამშრომლობის პლატფორმაში შედიან მისთვის არც თუ მეგობრულად განწყობილი ორი სახელმწიფო აზერბაიჯანისა და თურქეთის სახით. შესაბამისად, სწორედ ამ ფაქტორის გამო თუ იგი უარს იტყოდა თანამშრომლობის შემოთავაზებულ ფორმატში მონაწილეობაზე, ეს იქნებოდა სომ-

ხეთის მხრიდან ბავშვური გულუბრყვილობა. სომხური მხარის შეფასებით, ეს არის დამატებითი პლატფორმა მოლაპარაკებებისათვის, მნიშვნელოვანი საკითხების განსახილველად. შესაბამისად ერევანში მიაჩნიათ, რომ სომხეთმა უნდა მოძებნოს წესები რეგიონის ყველა მეზობელთან თანაარსებობისათვის, როგორც რუსეთთან, ასევე საქართველოსთან, თურქეთთან და აზერბაიჯანთან (3+3 or 3+2: New format for solving problems in south caucasus, 2021).

სომხეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი რუბენ საფრასტიანი მიიჩნევს, ამ ფორმატით თურქეთი ცდილობს რეგიონში საბოლოოდ მოიკიდოს ფეხი. საფრასტიანი თვლის, რომ სომხეთი ვერანაირ სარგებელს ვერ მიიღებს ამ ფორმატიდან, თუმცა მეორეს მხრივ მიაჩნია, რომ მასში ჩართულობა დიდ ზიანსაც არ მოუტანს მის ქვეყანას, თუ ადგილი არ ექნება სომხეთისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხების განხილვის ფორმატის რაიმე სახის ცვლილების მცდელობას (მაგალითად ეუთოს მინსკის ჯგუფის ფორმატის ჩანაცვლებას), რაც ბუნებრივია არ შედის სომხეთის ინტერესებში (3+3 or 3+2: New format for solving problems in south caucasus, 2021).

სომხეთი ბოლო წლებში მნიშვნელოვნად იმედგაცრუებულია რუსეთის ქმედებებით, რომელმაც ძალიან კარგად იცის, რომ იგი ფაქტობრივად მთლიანად არის დამოკიდებული ამ უკანასკნელის კეთილგანწყობაზე. თავად ამჟამინდელი რუსეთის ინტერესებში შედის, რომ აღიდგინოს სომეხი ხალხის და მისი პოლიტიკური ელიტების დაკარგული ნდობა და ამავდროულად ყველაფერი გააკეთოს, რომ მინიმუმამდე დაიყვანოს საქართველოს სატრანზიტო პოტენციალი. ალბათ რთულია ზუსტად იმის დადგენა, თუ რამდენი მილიარდის ზარალი დაუჯდა და რამდენი პირდაპირი ინვესტიცია დააკარგვინა სომხეთს ორ ქვეყანას შორის თითქმის 30 წლიანმა გაყინულმა კონფლიქტმა. სომხეთს დაჰპირდნენ მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებელის მიღებას ეკონომიკური რეგიონული ინ-

ფრასტრუქტურული პროექტებით, რასაც ადასტურებს ერდოღანის განცხადება, სადაც მან აღნიშნა, რომ „თუ სომხეთი შეუერთდება ამ პროცესს და პოზიტიურ ნაბიჯებს გადადგამს, თურქეთ-სომხეთის ურთიერთობებში ახალი გვერდი შეიძლება გადაიშალოს. თუ ახალი შესაძლებლობები გაჩნდება, აშკარაა, რომ სომხეთსაც ექნება სერიოზული უპირატესობა. სომხეთი იქნება მხარე, რომელიც მისგან ყველაზე მეტს მოიგებს“ (Armenia to respond positively to signals from Turkey: Pashinian, 2021). შესაბამისად შეიძლება მივიჩნიოთ, რომ თურქეთსა და სომხეთს შორის ურთიერთობების დათბობა და თანამშრომლობის პერსპექტივები დღეს ბევრად უფრო რეალურად მოჩანს, ვიდრე აქამდე იყო შესაძლებელი. მთიანი ყარაბაღის მეორე ომმა ბევრი რამ შეცვალა რეგიონში, სომხეთი უფრო რეალისტურად უყურებს და აფასებს არსებულ ვითარებას და აცნობიერებს, რომ შექმნილი რთული მდგომარეობიდან თავის დასაღწევად აუცილებელია თურქეთთან ურთიერთობების ნორმალიზება. ფაქტია, რომ ერევანს სურს ანკარასთან ურთიერთობების გამოსწორება თურქეთ-აზერბაიჯანის მზარდი სამხედრო თანამშრომლობის ფონზე (3+3 or 3+2: New format for solving problems in south caucasus, 2021).

რაც შეეხება აზერბაიჯანული მხარის ინტერესებსა და მოლოდინებს თანამშრომლობის ახალ პროექტში, მკაფიოდ იკვეთება აღნიშნული პლატფორმის მიმზიდველობა ოფიციალური ბაქოსათვის. თურქეთის ხმარდაჭერით, აზერბაიჯანმა პრაქტიკულად აღიდგინა კონტროლი ათწლეულების განმავლობაში დაკარგულ რეგიონზე. 3+3 ფორმატი, აზერბაიჯანისათვის გულისხმობს იმგვარი რეგიონული ფორმატის არსებობას, რომელშიც თურქეთი იქნება აზერბაიჯანის უპირობო მოკავშირე და მისი უსაფრთხოების ძლიერი გარანტი, რომელიც კვლავაც გააგრძელებს მისი სამხედრო მიღწევებისა და მმართველი პოლიტიკური კლასის მხარდაჭერას. ოფიციალური ანკარა 1990-იანი წლების შემდეგ აქტიურად ცდილობს დაბალანსებული ურთიერთობები ჰქონდეს სამხრეთ კავკასიის სა-

მივე ქვეყანასთან, - აზერბაიჯანთან, საქართველოსა და სომხეთთან, მაგრამ მრავალი მიზეზის გამო, თურქეთის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში კვლავ განისაზღვრება მისი ურთიერთობებით აზერბაიჯანთან, რომელიც ანკარას საუკეთესო მოკავშირე და საიმედო ეკონომიკური პარტნიორია.

რეგიონული ძალები და მათი ინტერესები 3+3 პლატფორმასთან დაკავშირებით

უპირველეს ყოვლისა რაც ყურადღებას იპყრობს სამხრეთ კავკასიის ახალ თანამშრომლობის პლატფორმაში, ეს არის მისი ძალიან მკაფიო, მკვეთრად ასიმეტრიული ბუნება და შესაბამისად მიზნად ისახვას, დომინანტი რეგიონული აქტორების ინტერესების წინ წამოწევას, რათა მოხდეს ერთგვარი გავლენის სფეროების გადანაწილება რეგიონით დაინტერესებულ სამ ძირითად მოთამაშეს შორის. რუსეთის ფედერაცია, შეიძლება ითქვას, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონში ხედავს გავლით დერეფანს ახლო აღმოსავლეთის მიმართულებით; თავის მხრივ, ირანი დაინტერესებულია გაარღვიოს ეკონომიკური იზოლაცია და ასეთ შემთხვევაში მისთვის მიმზიდველად მოსჩანს სომხეთისა და საქართველოს მარშუტი, ისევე, როგორც ამ მარშრუტის გავლით რუსეთის ფედერაციასთან კავშირი და კომუნიკაცია. რაც შეეხება თურქეთს, მისთვის სამხრეთ კავკასიის რეგიონი ერთგვარი გასაღებია, როგორც თავად კავკასიის რეგიონის შიგნით, ასევე კასპიის ზღვის აუზის სახელმწიფოების მიმართულებით, ანუ პრაქტიკულად სამივე ქვეყნისთვის არსებობს რეგიონთან დაკავშირებული კონკრეტული ექსკლუზიური ინტერესები.

ამრიგად, რუსეთის, თურქეთისა და ირანის რეგიონული ამბიციების ნაწილობრივი დამთხვევის გათვალისწინებით, 3+3 თანამშრომლობის ფორმატი რეგიონული ძალებისათვის რჩება ერთგვარ ინსტრუმენტად, რათა გააძლიერონ თავიანთი გავლენა შავი ზღვისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონებში დასავლური ინტერესე-

ბის გამოდევნის ხარჯზე. თურქეთისათვის, როგორც ნატოს წევრი სახელმწიფოსათვის, გრძელვადიანია სტრატეგიული პარტნიორობ-ის დამყარება ირანთან და რუსეთან, ასეთი მყიფე და ისტორიულად უსაფუძვლო „კოალიციის“, როგორც ნატოს საპირწონე ორგანიზა-ციის სახით, ნაკლებად სავარაუდოა რომ მის მიზანს წარმოადგენ-დეს. შესაბამისად თურქეთისთვის ეს პლატფორმა, უპირველეს ყოვლისა, არის პოლიტიკური მნიშვნელობის პროექტი. ანკარასა და დასავლეთის ქვეყნებს შორის არსებული დაძაბულობის გათვალის-წინებით, აღნიშნული თანამშრომლობის პლატფორმა წარმოადგენს მექანიზმს თურქეთისათვის რეგიონში მეტი ტაქტიკური და პრაქ-ტიკული თანამშრომლობისათვის. თურქეთის როლის გაზრდითა და გაღრმავებით, რეგიონული თანამშრომლობა არ არის დასავ-ლეთთან სტარტეგიული პარტიონორობის ალტერნატივა, არამედ ეს არის თურქეთისათვის მისი პოზიციების გაძლიერების გზა ამ პარტიორობაში (Iran and the 3+3 regional cooperation format in the souths caucasus: strengths and weaknesses, 2021).

ვინაიდან რეგიონულ აქტორებს შორის არსებობს ძალიან დი-დი გამომრიცხავი გარემოებები, ბუნებრივია ჩნდება კითხვები იმ-ასთან დაკავშირებით, თუ რამდენად სიცოცხლისუნარიანი შეიძ-ლება აღმოჩნდეს თანამშრომლობის აღნიშნული ფორმატი. აქ იკვე-თება რამდენიმე ფაქტორი, რაც ხელს უშლის პროექტის სიცოცხლი-სუნარიანობასა და სამომავლო პერპექტივებს. უპირველეს ყოვლისა ეს არის რუსეთისა და თურქეთის კონკურენცია კავკასიაში, რადგან ამ სახელმწიფოებს შორის სხვადასხვა ფორმატის შეხვედრებისა თუ გაკეთებული განცხადებების მიუხედავად, რომელიც ამ ორ სახელ-მწიფოს შორის ურთიერთობის ნორმალიზებას ითვალისწინებს, ის-ინი კვლავაც რჩებიან სამხრეთ კავკასიის რეგიონში მნიშვნელოვან კონკურენტებად. რეგიონული თანამშრომლობის ამ პლატფორმაში რუსეთის თურქეთთან ერთად ჩართულობა, შესაძლებელია აიხსნას ასევე იმ ფაქტორით, რომ რუსეთის ფედერაციას არ სურს რეგიონში

თურქეთის ერთგვარად მარტო დარჩენა და ეშინია სამხრეთ კავკასიაში თურქული გავლენის შესამჩნევი ზრდის.

თავისუფლად შეიძლება მივიჩნიოთ, რომ რუსეთის ფედერაცია საკუთარი ჩართულობით მომავალში შეეცდება თურქეთის მიერ რეგიონში არსებული გავლენების გაზრდის სურვილის განეიტრალებას. აქედან გამომდინარე ცხადი ხდება რომ, სამხრეთ კავკასიის ეს სამი სახელმწიფო შესაძლებელია იქცეს ამ ორი სახელმწიფოს შორის დაპირისპირებისა და კონკურენციის ერთგვარ პლაცდარმად. მეორე მხრივ ასევე გასათვალისწინებელია ირანის საკმაოდ რთული და სპეციფიკური ურთიერთობების ბუნება თურქეთსა და აზერბაიჯანთან, შესაბამისად იკვეთება აზერბაიჯანულ-თურქული და მეორეს მხრივ ირანული ღერძი, რომელიც ცდილობს, ამ შემთხვევაში დაეყრდნოს სომხეთს და იმავდროულად, მოიზიდოს რუსეთის ფედერაცია.

უკანასკნელ წლებში და, განსაკუთრებით, მთიანი ყარაბაღის მეორე ომის დასრულების შემდეგ, ირანის ინტერესები კავკასიაში, რომელსაც თეირანი საუკუნეების განმავლობაში თავის ისტორიული ინტერესების ნაწილად მიიჩნევდა, დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ აღმოჩნდა. თუმცა ბოლო წლების განმავლობაში ირანისათვის სამხრეთ კავკასია აღარ წარმოადგენდა საგარეო პრიორიტეტს, რადგან მთელი მისი ყურადღება ახლო აღმოსავლეთზე იყო გადატანილი. მაგრამ მოვლენების განვითარება რეგიონში, კერძოდ კი აზერბაიჯან-სომხეთის 44 დღიანი ომის დასრულების შემდეგ, რეგიონში არსებული პოლიტიკური დღის წესრიგი თეირანისთვის მიუღებელი აღმოჩნდა, ვინაიდან თეირანმა ვერ შეძლო, ვერც ეკონომიკური, ვერც პოლიტიკური და ვერც სამხედრო კუთხით კონფლიქტის მსვლელობაზე გავლენა მოეხდინა.

წლების წინ რეგიონში კონფლიქტის მოსაგვარებლად თეირანის მიერ წამოყენებული სამშვიდობო ინიციატივები უგულებელყოფილი იყო რეგიონის სახელმწიფოების მიერ. ამის საპირისპი-

როდ, ირანის ისტორიულმა მოწინააღმდეგეებმა, როგორიც არის რუსეთი და თურქეთი, უმნიშვნელოვანესი გავლენა იქონიეს სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის შედეგებზე. სწორედ თურქეთისა და აზერბაიჯანის ჩართულობით შემუშავდა შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. რუსეთის ახალი სამშვიდობო სტატუსი მთიან ყარაბაღში და სამხრეთ კავკასიაში თურქეთის დაბრუნება, ირანის მიერ მიჩნეულია დღემდე რეგიონში მისი ინტერესების უგულებელყოფად. თეირანისთვის რთულად მისაღებია ის ფაქტი, რომ მისი საზღვრის ჩრდილოეთ ნაწილის გასწვრივ თურქეთის გავლენამ მნიშვნელოვნად მოიმატა.

ირანის ინტერესი, საკუთარი გავლენის სფეროში მოაქციოს სამხრეთ კავკასია, დაკავშირებულია ეთნოტერიტორიულ კონფლიქტებთან და კასპიის ზღვის აზერბაიჯანის მონაკვეთზე ნავთობისა და გაზის დიდ მარაგთან. რაც შეეხება ირანის ამჟამინდელ პოლიტიკას კავკასიასთან მიმართებაში, იგი ესწრაფვის რეგიონში დასავლური გავლენების შემცირებას. თეირანის პოლიტიკა ეფუძნება პრაგმატიზმს, ესწრაფვის და ცდილობს სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მიმართ კავშირების დამყარებას, სპეციალური აქცენტების გაკეთებით სტაბილურობის საკითხებზე. აზერბაიჯანის ადრეული ორიენტირი თურქეთსა და დასავლეთზე, ირანის იგნორირება და მისი უგულებელყოფა იყო და კვლვაც რჩება თეირანის გაღიზიანებისა და შეშფოთების საგნად.

ირანი მნიშვნელოვანი რეგიონული სუპერსახელმწიფოა, რომელსაც მნიშვნელოვანი ამბიციები და გეგმები გააჩნია ახლო აღმოსავლეთში, ცენტრალურ აზიაში, პაკისტანსა და ავღანეთში, თუმცა ბოლო დროს სულ უფრო იკვეთება სამხრეთ კავკასიის მნიშვნელობა მის საგარეო პოლიტიკაში. მაშასადამე, სამხრეთ კავკასია თეირანისთვის პრიორიტეტული სივრცე ხდება, რომლის განმაპირობებელი ფაქტორი ისიცაა, რომ სამხრეთ კავკასია და მახლობელი აღმოსავლეთი იბრუნებს ისტორიულ კავშირებს, რაც ამ ორ სივრცეს ათ-

ასწლეულების განმავლობაში გააჩნდა და რაც გაწყდა XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის აღზევებისა და მისი იმპერიის მიერ სამხრეთ კავკასიის ანექსიის შემდეგ.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სამხრეთ კავკასიაში ავტორიტიეტის შესანარჩუნებლად, ირანის მოკავშირედ რუსეთი გვევლინება. ოფიციალურ მოსკოვს თეირანის მსგავსად არ უნდა სურდეს აზერბაიჯანში და კასპიის რეგიონში თურქეთის გაძლიერება. ირანს აღიზიანებს თურქეთის მზარდი გავლენა სამხრეთ კავკასიაში, რადგან მოელის, რომ სომხეთ-თურქეთის ურთიერთობების გაუმჯობესებისა და ერევნის ე.წ. „დასავლური ვექტორის“ გაძლიერების შემთხვევაში თეირანს რეგიონზე ზემოქმედების ბევრად სუსტი ბერკეტი რჩება, ირანს ასევე სერიოზულად აშფოთებს დასავლეთის ზეგავლენის ნელი, მაგრამ შესამჩნევი ზრდა სამხრეთ კავკასიაში (რონდელი, 2014). თუმცა ზემოთგანხილულ სისუსტეებთან და დაბრკოლებებთან ერთად, ირანს ასევე გააჩნია გარკვეული უპირატესობა თურქეთთან და რუსეთთან შედარებით. ირანი გეოგრაფიულად ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც ესაზღვრება სომხეთს, აზერბაიჯანის რესპუბლიკას და ნახიჩევანის ექსკლავს. შესაბამისად, ერთადერთი პირდაპირი დამაკავშირებელი გზა ნახიჩევანსა და აზერბაიჯანს შორის ათწლეულების მანძილზე სწორედ ირანზე გადიოდა. ირანის მონაწილეობა ასევე გადამწყვეტია საბჭოთა პერიოდის რკინიგზის აღორძინებისთვის სამხრეთ კავკასიის რეგიონის სამხრეთ კიდეზე. მეორეც, ირანი ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც აქვს მუდმივი და უწყვეტი დიპლომატიური ურთიერთობები სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფოსთან: სომხეთთან, აზერბაიჯანთან და საქართველოსთან. სომხეთ-თურქული ურთიერთობები 1993 წლიდან გაწყდა, როდესაც ანკარამ აზერბიჯანის მხარდაჭერის მიზნით, ყარაბაღის ომის შემდეგ საკუთარი ინიციატივით სომხეთთან საზღვარი ჩაკეტა. მაშინ, როდესაც საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობები 2008 წლის აგვისტოში საქართველოს მიმართ რუ-

სეთის მიერ გამხორციელებული სამხედრო აგრესიის გამო და რუ-სეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს განუყოფელი ნაწილების ე.წ. აღიარების შემდეგ, საქართველომ გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობები რუსეთის ფედერაციასთან. შესაბამისად ოფიცი-ალურ თეირანს რჩება შანსი, რომ მოგვევლინოს მედიატორის როლ-ში კავკასიის ქვეყნებს შორის მაღალი დონის შეხვედრებისთვის. შე-საბამისად, ირანი განსაკუთრებით არის დაინტერესებული ახალი ეკონომიკური შესაძლებლეობების ფანჯრის გახსნით რეგიონში, რა-თა უზრუნველყოს მშვიდობიანი გარემო, რაც ირანის ყოფილი საგა-რეო საქმეთა მინისტრის ჯავად ზარიფის განცხადებით, საუკეთე-სო გზაა ტრანზიტზე თანამშრომლობისა და აღმოსავლეთ-დასავ-ლეთისა და ჩრდილოეთ-სამხრეთს დერეფნების გასაძლიერებლად (Iran and the 3+3 Regional Cooperation Format in the South Caucasus: Strengths and Weaknesses, 2021).

რუსეთის უმთავრესი საგარეო პოლიტიკური დოკუმენტებით და არაერთი პოლიტიკური განცხადებით დასტურდება, რომ კრემ-ლის უპირველესი პრიორიტეტი კვლავ პოსტსაბჭოთა სივრცეზე გავლენის აღდგენა-შენარჩუნება წარმოადგენს. მოსკოვი მსგავს პო-ლიტიკას რამდენიმე მნიშვნელოვანი მოტივით ხსნის, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული უსაფრთხოებით. პოსტსაბჭოთა სივრცისადმი მოსკოვის მგრძნობიარე დამოკიდებულება სრულად აიხსნება სახ-მელეთო სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი ლოგიკით, რომლის მიხედვითაც, კრემლს არ სურს დაუშვას მის საზღვრებთან ძლიერი სახელმწიფოს ავანპოსტის გაჩენა და სურს პოსტსაბჭოთა სივრცე სა-ჭიროების შემთხვევაში ერთგვარ ბუფერად გამოიყენოს. გარდა ამი-სა, უმნიშვნელოვანესია ენერგეტიკული და ეკონომიკური ინტერე-სები, განსაკუთრებით კი, ცენტრალურ აზიასთან მიმართებაში, რადგან რუსეთს ევროპაში ენერგეტიკის ერთადერთ მიმწოდებლად დარჩენა სურს და შესაბამისად ცენტრალური აზიის ყოფილ საბჭო-თა რესპუბლიკებზე, ისევე როგორც სამხრეთ კავკასიაზე გავლენის

შენარჩუნებისკენ ისწრაფვის. თანხვედრაშია ეკონომიკური მოტივებიც, კონკრეტულად კი რუსეთი ცდილობს, რომ მისმა სახელმწიფო კომპანიებმა ხელში ჩაიგდონ ყოფილი მოძმე რესპუბლიკების მნიშვნელოვანი კომპანიები და სახელმწიფო სტრატეგიული ობიექტები, რაც, როგორც პირდაპირ ფინანსურ სარგებელთან არის დაკავშირებული, ასევე ამ ქვეყნებზე ზეგავლენის მნიშვნელოვანი ბერკეტია.

რუსეთი მაქსიმალურად ცდილობს არ დაუშვას საქართველოს გაწევრიანება ჩრდილო-ატლანტიკურ სტრუქტურაში, რადგან ეს იქნება მისი უდიდესი გეოპოლიტიკური და სტრატეგიული მარცხი, ასევე მის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს შეარყიოს და მინიმუმამდე შეამციროს საქართველოს სატრანზიტო ფუნქცია. იგი დღემდე ცდილობს შეურყიოს საქართველოს უსაფრთხო და სტაბილური სატრანზიტო მიმწოდებელი ქვეყნის იმიჯი, რომლის ტერიტორიაზე რამდენიმე მნიშვნელოვანი სატრანზიტო მარშუტი ხორციელდება. რუსეთი ყველა მეთოდის გამოყენებით ცდილობს გავლენა იქონიოს სატრანზიტო მაგისტრალის ფუნქციონირებაზე, რაც შეუნარჩუნებს მას შესაძლებლობას ერთდროულად გააკონტროლოს მოპოვებისა და ტრანსპორტირების ფასები და მაქსიმალური სარგებელი ნახოს. რუსეთმა ძალიან კარგად იცის, რომ თუ საქართველო შეუერთდება თანამშრომლობის აღნიშნულ პლატფორმას, მაშინ იგი ვეღარ დარჩება დასავლეთთან. სწორედ ამიტომ ცდილობს დღემდე ოფიციალური მოსკოვი, დაითანხმოს საქართველო ჩაერთოს რეგიონული თანამშრომლობის ახალ პლატფორმაში. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ 3+3 ფორმატში მოსკოვში გამართულ პირველ შეხვედრაზე, წარმოდგენილი იყო ქართული დროშაც და რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა სერგეი ლავროვმა მოუწოდა თურქეთს, აზერბაიჯანს და სომხეთს, რომ „3+3 ფორმატის სარგებელი აუხსნან საქართველოს, რადგან სწორედ მის ინტერესებში უნდა შედიოდეს, რომ 3+3 ფორმატს წინაპირობის გარეშე შეუერთდეს“ (სერგეი ლავროვი - თურქეთს, აზერბაიჯანსა და სომხეთს

ვთხოვეთ, საქართველოს 3+3 ფორმატის სარგებელი აუხსნან - საქართველოს ინტერესებშია, რომ 3+3 ფორმატს წინაპირობების გარეშე შეუერთდეს, ინტერპრესნიუსი, 2021).

დასკვნა

დღეს ნაკლებად არსებობს იმის ილუზია, რომ კრემლის პოლიტიკა უახლოეს მომავალში შეიძლება შეიცვალოს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში და თითქმის არ არსებობს მოლოდინი, რომ იგი აღირებს იმ იმპერიალისტურ პოლიტიკას, რომელსაც საქართველოს მიმართ XIX საუკუნიდან მოყოლებული დღემდე აქტიურად ახორციელებს. შესაბამისად, კავკასიის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის მიზნით შექმნილი ახალი პლატფორმა ვერ პასუხობს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების ინტერესებსა და მის წინაშე არსებულ გამოწვევებს. რთული წარმოსადგენი არ არის, თუ რატომ არ უნდა დათანხმდეს საქართველოს თანამშრომლობის ისეთ ფორმატში მონაწილეობას, რომელშიც ერთ-ერთი მთავარი აქტორი არის სახელმწიფო, რომელსაც ოკუპირებული აქვს მისი ტერიტორიების 20%-ზე მეტი და კვალავაც აგრძლებეს მცოცავ ოკუპაციას.

საქართველოს რუსეთთან ერთად, მისი დაფინანსებით, თუ ინიციატივით შექმნილ ნებისმიერი რეგიონული თანამშრომლობის ფორმატში მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია მიიღოს მონაწილეობა, თუკი რუსეთი მოახდენს საქართველოს ოკუპირებული რეგიონების დეოკუპაციას და მათ დააბრუნებას საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში ნებისმიერი თანამშრომლობის შემოთავაზება რუსეთის ფედერაციის მხრიდან, მიჩნეული და აღქმული იქნება ერთგვარ მიმართულ საფრთხედ საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ.

საქართველომ აუცილებლად უნდა გააღრმავოს და გააძლიეროს პარტნიორობა აზერბიჯანთან და თურქეთთან, როდესაც საქმე რეგიონალურ ვაჭრობას და ენერგეტიკულ თანამშრომლობას ეხება, რასაც საქართველოს ორ ათწლეულზე მეტია აქტიურად ახორციელებს 3+3 ფორმატის გარეშე და ეს ბუნებრივია, რომ მომავალშიც გააგრძელებს. საქართველოს შეუძლია შეასრულოს სამშვიდობო როლი აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის მოლაპარაკებებში, ასევე უნდა შეინარჩუნოს ეკონომიკური ჩართულობის გარკვეული დონე ირანთან და რუსეთთან.

საქართველოს 3+3 ფორმატში და მსგავსი ტიპის თანამშრომლობის ფორმატში ჩართვა შესაძლებელი და ნაკლებად საფრთხის შემცველი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ფორმატში მოხდება ასევე დასავლეთისა და საქართველოს სტრატეგიული მოკავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების ჩართვა. ახალი ფორმატიის შეთავაზებით რუსეთი, თურქეთი ერთის მხრივ ცდილობენ დასავლეთის იზოლაციას შემლებისდაგვარად შავი ზღვისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონში და მეორეს მხრივ სურთ „ახალი რეალობის“ კონსოლიდაცია, რომელიც 2008 წელს საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის და 2020 წელს ყარაბაღის მეორე ომის შემდეგ ძალაუფლებისა და ბალანისის მნიშვნელოვანი ცვლილების შემდეგ შეიქმნა. ის ძალები, რომლებიც აქტიურად მხარს უჭერენ 3+3 ფორმატს, ითხოვენ იმ დროში დაბრუნებას, როდესაც დიდი რეგიონალური ძალები რუსეთი და ირანი დომინირებდნენ სამხრეთ კავკასიის პატარა ქვეყნებში. შესაბამისად, საქართველომ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ განაგრძოს პრაგმატური თანამშრომლობა მეზობელ აზერბაიჯანთან, სომხეთთან და თურქეთთან და ეძებოს გზა ჩრდილო ატლანტიკურ და დასავლურ ორგანიზაციებში გასაწევრიანებლად. ახალი თანამშრომლობის რეგიონული პლატფორმა შეიძლება მიჩნეული იქნას სამხრეთ კავკასიის სამ სახელმწიფოზე გეოპოლიტიკური დომინაციის ჩამოყალიბების ერ-

თგვარ მცდელობად, რაც მიზნად ისახავს რეგიონიდან დასავლეთის გამოძევებას და გზის ჩაკეტვას სხვა ძალებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

კონფერენციის მასალები (2020). ზვიად გამსახურდია პოლიტიკა, მეცნიერება, ლიტერატურა. გამომცემლობა „არტანუჯი“

ლოიდ ოსტინი - რუსეთს საქართველოს ტერიტორიების 20 პროცენტი აქვს ოკუპირებული და ვიდრე ახალ პლატფორმაზე ისაუბრებდეს, პატივი უნდა სცეს 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას. (2021). 1 tv, 15:08, 18 დეკემბერი. https://1tv.ge/news/loid-ostini-rusets-saqartvelos-teritoriebis-20-procenti-aqvs-okupirebuli-da-vidre-akhal-platformaze-isaubrebdes-pativi-unda-sces-2008-wlis-ceckhlis-shewyvetis-shetankhmebas/ (უკანასკნელად გადამოწმებულია 10.03.2022)

რონდელი ა, (2014). ირანი და საქართველოს-ურთიერთობებში დაახლოების პერსპექტივები, საქართველოს სტარტეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, N 18

სალომე ზურაბიშვილი - ძალიან ვწუხვარ, რომ ამ პარლამენტში ნაწილმა აირჩია გარეთ დარჩენა, რამეთუ პასუხისმგებლობა ყველასგან მოითხოვს, ამ ვითარებაში ვიყოთ ერთად, გამოვიყენოთ ყველა ჩვენი შესაძლებლობა. (2020). Itv, 13:03, 11 დეკემბერი. https://1tv.ge/news/salome-zurabishvili-dzalian-vwukhvar-rom-am-parlamentshi-nawilma-airchia-garet-darchena-rametu-pasukhismgebloba-yvelasgan-moitkhovs-am-vitarebashi-viyot-ertad-gamoviyenot-yvela-chveni-shesadzleb/ (უკანასკნელად გადამოწმებულია 02.05.2022)

საქართველო არ განიხილავს რუსეთის ფედერაციასთან ერთად 3+3 ფორმატში მონაწილოებას-საგარეო საქმეთა სამინისიტრო. (2021). GHN. Avaliable at: https://ghn.ge/news/272235-sakartvelo-ar-ganikhilavs-rusetis-federatsiastan-ertad-33-formatshi-monatsileobas-sagareo-sakmeta-saministro

ტუხაშვილი ლ. (1972), ქართლ-კახეთის სამეფოს ურთიერთობა კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ხალხებთან მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში - კრებ: საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, თბილისი

ყაუხჩიშვილი ს. (1955). ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფითა - ქართლის ცხოვრება, I., თბილისი

Первое заседание формата "3+3" по Южному Кавказу пройдет в Москве 10 декабря. (2021). Avaliable at: https://tass.ru/mezhdunarodnaya-panorama/13152917 (Accessed 31 Janvier 2022)

ALTAY, İ. (2020, December 11). 6-country regional cooperation platform win-win for actors in Caucasus, Erdoğan says. Baku, Azerbaijan.

Armenia to respond positively to signals from Turkey: Pashinian. (2021, August 21). Retrieved from Daily Sabah

Armenian political analysts vary on 3+3 initiative. (2021, December 13). Retrieved from Armen Press: https://armenpress.am/eng/news/1070567.html

Balla, E.(2013). Turkish and Iranian interests and policies in the South Caucasus. Norwegian Peace Building Resource Centre. Available at:

https://www.files.ethz.ch/isn/163461/gf_nahost_1211.pdf (Accessed August, 2020)

6-Country Regional Cooperation Platform Win-win for actors in Caucasus, Erdoğan says. Avaliable at: https://www.dailysabah.com/politics/diplomacy/6-country-regionalcooperation-platform-win-win-for-actors-in-caucasus-erdogan-says (Accessed 2 January 2022)

Foreign Minister Zalkaninai Talks 3+3 Platform. (2021, September 08). Retrieved from Civil.ge: https://civil.ge/archives/447118

Georgia won't participate in so-called 3+3 regional platform in Moscow. (2021, December 9). Retrieved from Agenda.ge: https://agenda.ge/en/news/2021/3880

Ian Kelly. (2020, December 23). Retrieved from Tweet: https://twitter.com/ikelly731/status/1341506263516127244?ref_src=twsrc%5Etfw%7Ctwcamp%5Etweetembed%7Ctwterm%5E1341676798338355200%7Ctwgr%5E%7Ctwcon%5Es3_&ref_url=https%3A%2F%2Fwww.radiotavisupleba.ge%2Fa%2F31015812.html

hachatryan, A. (2021, December 12). *"3 + 3' or '3 + 2': New format for solving problems in South Caucasus*. Retrieved from Jam News: https://jam-news.net/3-3-or-3-2%D6%89-new-format-for-solving-problems-in-south-caucasus/

https://twitter.com/ikelly731/status/1341506263516127244?ref_src=twsrc%5Etfw%7Ctwcamp%5Etweetembed%7Ctwterm%5E1341676798338355200%7Ctwgr%5E%7Ctwcon%5Es3_&ref_url=https%3A%2F%2Fwww.radiotavisupleba.ge%2Fa%2F31015812.html

Kaleji, V. (2021). Iran and the 3+3 Regional Cooperation Format in the South Caucasus: Strengths and Weaknesses, The Jamestown Foundation, Global Research Analysis, avaliable at:

https://jamestown.org/program/iran-and-the-33-regional-cooperation-format-in-the-south-caucasus-strengths-and-weaknesses/. (Accessed 2 October 2021)

Khachatryan, A. (2021). 3+3 or 3+2: New Format for solving Problems in South Caucasus. Jam News. Avaliable at: https://jam-news.net/3-3-or-3-2%D6%89-new-format-for-solving-problems-in-south-caucasus/(Accessed 4 Fevrier 2022)

Remaks by Secretary of Defense Lloyd J. Austin III During a Joint Press Briefing With Minister Burchuladze of the Republic of Georgia, U. S Department Of Defense (Accessed 1 Fevrier 2022)

https://www.defense.gov/News/Transcripts/Transcript/Article/2813126/remarks-by-secretary-of-defense-lloyd-j-austin-iii-during-a-joint-press-briefin/

Zarif: Iran seeking to form six-party union in the Caucasus region. Avaliable at: https://www.tehrantimes.com/news/457391/Zarif-Iran-seeking-to-form-six-party-union-in-theCaucasus-region (Accessed 27 Janvier 2022)

Zurabishvili, S. (2020, December 23). *Tweet*. Retrieved from Salome Zurabichvili: https://twitter.com/zourabichvili_s/status/1341473923335073793

Лавров обсудил создание формата «3+3» с Турцией и странами Закавказья Avaliable at: https://lenta.ru/news/2021/10/06/3_3/ (Accessed 2 January 2022)

Eka Darbaidze

Platform for Cooperation Between South Caucasus Countries and Regional Actors and Georgia

Abstract

Due to its important geopolitical location and economic interests, the South Caucasus has been the object of interest of various states and empires since ancient times. This rivalry was facilitated by the geopolitical location of the region and the existing significant reserves of energy resources, which became one of the most attractive spaces for regional powers especially in the Post-Cold War period. Over the centuries, the forms of international relations of the South Caucasus region have always changed, however, the aspirations of the Caucasian peoples, as well as the interests of the regional powers, remained almost unchanged.

After the collapse of the Soviet Union and the restoration of independence, the countries of the South Caucasus, known for their endless ethno-political conflicts, should be actively interested in the stability of the region, which implies the active use of constructive and peace policy tools in their political agenda. Accordingly, their concern for the creation of a peace policy, as well as various cooperation initiatives proposed in order to maintain the regional stability of the Caucasus, remain relevant. Despite the variety of cooperation and peace political initiatives proposed over the years, unfortunately they did not go beyond the format of political statements and the matter never came to their implementation, because none of the existing cooperation initiatives could cover all the members of the region.

The current platform of regional cooperation was put forward by the President of Turkey, Recep Erdogan, who announced this initiative during his visit to Azerbaijan. The so-called 3+3 format platform of regional cooperation aims at the cooperation of three South Caucasus countries (Armenia, Azerbaijan and Georgia) and three "big neighbors" - Russia, Turkey and Iran. The proposed 3+3 political platform initiative of the Caucasus Stability Pact received a positive response from the authorities of Azerbaijan, Iran and Armenia. According to them, the said platform of

cooperation will contribute to the strengthening of cooperation between the countries involved in it in the security, economic and transport fields.

The purpose of the article is to study and determine the new cooperation platform created for the purpose of maintaining regional stability and the future perspectives of its implementation. What will the proposed project bring to Georgia, what type of "benefits" or threats are associated with its alleged membership in the mentioned cooperation platform. It will also be interesting to identify the interests and expectations of regional powers in relation to the mentioned platform. Considering the partial coincidence of the regional ambitions of the regional players Russia, Turkey and Iran in relation to the South Caucasus, the 3+3 regional cooperation format is, on the one hand, a kind of facilitating mechanism for them to strengthen their influence in the South Caucasus region, and on the other hand, through the mentioned cooperation, they want to consolidate the "new reality", which was formed after a significant change in power and balance in the region.

Keywords: 3+3 cooperation platform, Caucasus Stability Pact, South Caucasus, national interests, occupied regions of Georgia.